

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალისდასხვასრულიშემოსავლისანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8
1. კორპორატიულიინფორმაცია	9
2. მომზადებისსაფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
5. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	16
8. საინვესტიციო ქონება	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
10. გრძელვადიანი სესხები.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
11. საგადასახადო ვალდებულებები.....	17

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოწლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	4 982 343
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3 305
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 724 613)
სულ შემოსავალი	1 261 035
საერთო საწარმოო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 260 644)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(9114)
ზარალი სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან	(130)
საოპერაციო მოგება	(8525)
მოგების გადასახადი	-
წმინდამოგება/(ზარალი)	(8525)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს:

ომარ ფურცელაძე
დირექტორი

თამარ აფრიაშვილი
მთ, ბუღალტერი

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოწლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოწლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018 (არა აუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	4 982 343
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3 305
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3 724 613)
სულ შემოსავალი	1 261 035
საერთო საწარმოო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 260 644)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(9114)
ზარალი სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან	(130)
საოპერაციო მოგება	(8525)
მოგების გადასახადი	-
წმინდამოგება/(ზარალი)	(8525)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს:




თამარ აფრიცვილი
მთ. ბუღალტერი

შპს „პური ჩენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოწლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	31 დეკემბერი 2018(არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018(არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიან აქტივები		
ძირითადი საშუალებები	532571	548403
არამატერიალური აქტივები	3509	3509
სულ გრძელვადიან აქტივები	536080	551912
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	145701	128379
სასაქონლო მატერიალური მარაგები	195534	114816
სავაჭრო მოთხოვნები	143018	165482
სხვა მოთხოვნები	28629	6509
სულ მიმდინარე აქტივები	512882	423762
სულ აქტივები	1048962	975674
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200000	200000
ძს გადაფასების რეზერვი	384813	391175
სხვა რეზერვები	449600	449600
გაუნაწილებელი მოგება	(139307)	(130781)
სულ კაპიტალი	697106	711994
გრძელვადიან ვალდებულებები		
გრძელვადიანის სხვები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68748	33315
საგადასახადო ვალდებულებები		
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	251383	230364
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	31725	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	351856	263680
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1048962	975674

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ომარ ფურცელაძე
დირექტორი

თამარ აფრიაშვილი
მთ, ბუღალტერი

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოწლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოწლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018 (არააუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიან აქტივები		
ძირითადი საშუალებები	532571	548403
არამატერიალური აქტივები	3509	3509
სულ გრძელვადიან აქტივები	536080	551912
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	145701	128379
სასაქონლო მატერიალური მარაგები	195534	114816
სავაჭრო მოთხოვნები	143018	165482
სხვა მოთხოვნები	28629	6509
სულ მიმდინარე აქტივები	512882	423762
სულ აქტივები	1048962	975674
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	202000	202000
ძს გადაფასების რეზერვი	384813	391175
სხვა რეზერვები	449600	449600
გაუნაწილებელი მოგება	(139307)	(130781)
სულ კაპიტალი	697106	711994
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანის სხები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68748	33315
საგადასახადო ვალდებულებები		
მოკლევადიანი სასესხო		
ვალდებულებები	251383	230364
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	31725	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	351856	263680
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	1048962	975674

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



თამარ აფროსიმოვილი
მთ. ბუღალტერი

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებოკაპი ტალი	სარეზერვო კაპიტალი	ძს გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ებელიმოგ ება/(დაუფ არავი ზარალი)	სულკაპიტ ალი
(არააუდიტირებული)					
ბალანსი 1 იანვარი 2018	2000	449600	391175	(130781)	711994
მიმდინარეწლისსრულ ი მოგება				(8525)	
მწ ძს გადაფასების რეზერვის			(6362)		
ამორტიზაცია					
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2000	449600	384813	(139307)	697106

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ომარ ფურცელადე
დირექტორი

თამარ აფრიაშვილი
მთ, ბუღალტერი

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებოკაპი ტალი	სარეზერვო კაპიტალი	მს გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ებელიმოგ ება/(დაუფ არავი ზარალი)	სულკაპიტ ალი
(არაუდიტირებული)					
ბალანსი 1 იანვარი 2018	2000	449600	391175	(130781)	711994
მიმდინარეწლისსრულ ი მოგება				(8525)	
მწ მს გადაფასების რეზერვის ამორტიზაცია			(6362)		
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	2000	449600	384813	(139307)	697106

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



თამარაფრიაშვილი
მთ, ბუღალტერი

1. კორპორატიული ინფორმაცია

(შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1996 წლის 10 ივნისს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 200018122

ძირითადი საქმიანობა. შპს „პური ჩვენი არსობისა“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურ-პროდუქტების წარმოება

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, კლდეკარის ქ., N23.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობენ ფიზიკური პირები შემდეგი წილობრივი განაკვეთით:

1. აკაკი კუხალაშვილი - 25%
2. გივი ფურცელაძე - 25%
3. მერაბ გაბუნია - 25%
4. კახაბერ შარაშენიძე - 17,5%
5. ომარ ფურცელაძე - 7,5%

ინვესტიციები: კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო და კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენა არევალება..

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური

ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს “პური ჩვენი არსობისა” მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროსდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	5-10
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გთვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო

ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა)

კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და წარდგენილია დეკლარაციები შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიან კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების და ზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივია აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არარსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებით იცვლილებები რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს პურის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა როგორც 18%-ით დასაბეგრი ბრუნვები, ასევე დღგ-ის მიზნებისთვის ჩათვლის უფლების გარეშე განხორციელებული ბრუნვები.

ჩათვლის უფლების გარეშე შემოსავლებს განეკუთვნება დიეტური და დიაბეტური პური „ამარანტის“ რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

6. საერთო საწარმოო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	(489120)
რეკლამის ხარჯი	(43393)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(6996)
ელ ენერგიის ხარჯი	(243901)
გაზის ხარჯი	(119039)
დასუფთავების ხარჯი	(2462)
წყლის ხარჯი	(29109)
საკანცელარიო და კომპიუტერული ხარჯი	(2960)
საკონსულტაციო ხარჯი	(98367)
გაუმიჯნავი დღგ-ს ხარჯი	(120553)
დაზღვევის ხარჯი	(2977)
ცვეთადამორტიზაცია	(22 570)
საგადასახადო ხარჯი	(3 620)
მოგების გადასახადის ხარჯი	(53)
ბანკის საკომისიო	(3 812)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(51919)
საპროცენტო ხარჯი	(18864)
ჯამი	(1260316)

7. ზარალი სავალუტო და სხვა ოპერაციებიდან

2018

შპს „პური ჩენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

უცხოურ ვალუტაში არსებულის სხების გადაფასება	(29520)
უცხოურ ვალუტაში არსებული ფულის გადაფასება	10604
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(130)
ჯამი	(9244)

8. ამორტიზაცია

	მიწა არასასოფლო სამეურნეო	შენობა ნაგებობ ები	მანანა- დანადგა რები	ელექტრ ო და დიზელ ენერგია	ოფისისა დჭური ლობა	კომპიუტ ერული ექნიკა	სატრანს პორტოს ამუალებ ები	სხვა ძირითა დი სამუალებ ები	სულ ჯამი
საწყისი დირებულება	245915	377747	235437	33760	5605	11528	19030	5803	934825
ბალანსი 01/01/2018	245915	377747	235437	33760	5605	11528	19030	5803	934825
აკუმულირებული ცვეთა		-133474	-227786	-2834	-3268	-10158	-7280	-1623	-386423
ბალანსი 01/01/2018	245915	244274	7651	30925	2338	1370	11750	4180	548403
დანამატები					1102		11999		13101
აქტივების ჩამოწერა									
ცვეთა პერიოდისათვის		-15110	-2807	-5064	-916	-480	-3744	-811	-28932
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა									
ბალანსი 31/12/2018	245915	229164	4845	25861	2523	890	20005	3369	532571
ბალანსი 01/01/2018	245915	244274	7651	30925	2338	1370	11750	4180	548403
ბალანსი 31/12/2018	245915	229164	4845	25861	2523	890	20005	3369	532571

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება კომპანიის მიმართ დაგროვილი მოთხოვნით. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები.

9. მოკლევადიანი სესხები

კომპანიას გააჩნია მოკლევადიანი სესხები, რომელიც მიღებული აქვს თიბისი ბანკიდან.

10. საგადასახადო ვალდებულებები

დღეის მდგომარეობით კომპანიას საგადასახადო ვალდებულებები არ გააჩნია. კომპანია მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებს დროულად ფარავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციის საგანი, რის გამოც, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს

შპს „პური ჩვენი არსობისა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციაში. ამ ფაქტორებმა შეიძლება წარმოშვას საგადასახადო რისკი. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული.